1957

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (80) სექტემბერი 1957 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7355

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება წვრილმანი სპეკულაციისათვის სიმსლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

2. ბრძანებულება ახალქალაქის რაიონის ახალრეთის სასოფლო საბჭოდან სოფელ მოდგგამის გამოყოფისა და მისი კოჩიოს სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

3. ბრძანებულება ამბ. გ. ს. ქობულიას გარნთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან.

4. ბრძანებულება ამბ. ი. ნ. ლაღიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრად.

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშენებლობის რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ.

6. ბრძანებულება ამბ. ს. ს. ლორთქიფანიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად.

7 ბრძანებულება რესპუბლიკის სკოლის მასწავლებლებისათვის საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

8. გარდაბნის, ბოლნისი და სიღნაღის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობის შესახებ მოსაგზავნის აღების საკმეში.

9. ბრძანებულება ს. ხალხო მოსამართლის თანამდებობისაგან ამხ. ვ. მ. ჭიაურელის გამოწვევის შესახებ.

10. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ რედაქტორის შეკრების.

11. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის შესახებ.

12. ბრძანებულება ბორჯომის რაიონის ყვიბისის სასოფლო საბჭოდან სოფელ კორტანენთის გამოყოფისა და მისი ახალდაბის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

13. ბრძანებულება მარნეულის რაიონის ცენტრის სოფელ მარნეულის ქალაქის ტიპის დასახლებად გარდაქმნის შესახებ.

14. ბრძანებულება ხაშურის რაიონში წრომის სასოფლო საბჭოს აღდგენის შესახებ.

15. ბრძანებულება ამხ. გ. შ. მიქელაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარედ.

16. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულების დგომარეობის შესახებ.

17. ბრძანებულება საქართველოს სსრ მოწინავე მშენებელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელთან დაჯილდოების შესახებ.

18. ბრძანებულება აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის ულიანოვკის სასოფლო და ჩაქვის სადაბო საბჭოებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ.

19. ბრძანებულება გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის, სტამბის და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

20. ბრძანებულება გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის, სტამბის და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

21. ბრძანებულება 1957 წლის პამირის ექსპედიციის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

22. ბრძანებულება ხელოვნების მუშაკთათვის—პირველი რესპუბლიკური, სრულიად საკავშირო და ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის ორგანიზატორებისა და მონაწილეთათვის საქართველოს სსრ სპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

23. ბრძანებულება პირველი რესპუბლიკური, სრულიად საკავშირო და ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის ორგანიზატორთა და მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

24. „წარილნანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

25. ბოლნისის, დმანისის, ცხაკაიას რაიონების და ქ. ფოთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ.

26. ბრძანებულება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 14 მუხლის „ბ“ პუნქტის ცვლილების შესახებ.

27. ბრძანებულება ზოგიერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილების შესახებ წულუკიძის რაიონში.

28. ბრძანებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს გაუქმების შესახებ.

29. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის შექმნის შესახებ.

30. ბრძანებულება ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ.

31. ბრძანებულება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ერთ სამინისტროდ—საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის რესპუბლიკურ სამინისტროდ გავრთიანების შესახებ.

32. ბრძანებულება ამხ. კ. ი. ბარიგიანის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრად.

33. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. მ. ფ. ჩხეიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრად.

34. ბრძანებულება ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება წვრილმანი სპეკულაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაწესდეს, რომ წვრილმანი სპეკულაცია, ე. ი. მცირე რაოდენობის საქონლის შესყიდვა და გაყიდვა მოგების მიზნით, ჩადენილი პირველად, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ვადით სამი თვიდან ერთ წლამდე ან გამასწორებელ მუშაობას ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე, თუ ეს მოქმედება თავისი ხასიათით და ოდენობით არ იწვევს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 142 მუხლით გათვალისწინებულ სასჯელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 11 ივნისი.

2. ბრძანებულება ახალქალაქის რაიონის აზავრეთის სასოფლო საბჭოდან სოფელ მოდეგამის გამოყოფისა და მისი კოჩიოს სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოეყოს ახალქალაქის რაიონის აზავრეთის სასოფლო საბჭოს სოფელი მოდეგამი და მიეკუთვნოს ამავე რაიონის კოჩიოს სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 11 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ბრძანებულება ამხ. გ. ს. ქობულიას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი სამსონის-ძე ქობულია საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 14 ივნისი.

4. ბრძანებულება ამხ. ი. ნ. ლაღიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. ილია ნიკიფორეს-ძე ლაღიძე საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 14 ივნისი.

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშენებლობის რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მშენებლობის რესპუბლიკური სამინისტრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობის მთავარი სამმართველოს ბაზაზე.

2. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 56 მუხლების სათანადო ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 17 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ბრძანებულება ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. სიმონ სეევერიანეს-ძე ლორთქიფანიძე საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 17 ივნისი.

7. ბრძანებულება რესპუბლიკის სკოლის მასწავლებლებისათვის საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება:

1. აბულაძეს ოლღა იაკობის ასულს — ახალციხის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს
2. ალადაშვილს ნინო ილიას ასულს — ქ. თბილისის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს
3. ანტიპოვას ლიდა კარპის ასულს — ქ. ფოთის № 4 საშუალო სკოლის მასწავლებელს
4. არეშიძეს მათიკო ილიას ასულს — თერჯოლის რაიონის ჭაბუკმთის დაწყებითი სკოლის გამგეს
5. ახალაიას გიორგი ჯარუს-ძეს — ხობის რაიონის საჯიჯავოს საშუალო სკოლის ყოფილ მასწავლებელს
6. ბახტაძეს დავით ივლიანეს-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უმაღლესი სასწავლებლების და პედსასწავლებელთა სამმართველოს ინსპექტორს
7. ბერიძეს სუსანა ალექსანდრეს ასულს — ქ. თბილისის № 26 საშუალო სკოლის მასწავლებელს
8. ბოლქვაძეს სერგი ონისიმეს-ძეს — აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს მეთოდისტს
9. ბოჟორიშვილს ისიდორე ექვთიმეს-ძეს — წყალტუბოს რაიონის გვიშტიბის საშუალო სკოლის მასწავლებელს
10. გაჩეჩილაძეს გიორგი ზურაბის-ძეს — ქ. თბილისის № 66 საშუალო სკოლის მასწავლებელს
11. გელაზონიას იასონ გიორგის-ძეს — ქ. ქუთაისის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს
12. დავთიანს ივანე ბოგდანის-ძეს — ქ. თბილისის № 25 საშუალო სკოლის მასწავლებელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. დერზიანის ალექსანდრე გრიგოლის-ძეს — ქ. თბილისის № 79 საშუალო სკოლის მასწავლებელს
14. დიდიას ნინო კირილეს ასულს — ქ. ფოთის განათლების განყოფილების ინსპექტორს
15. ეგიაზარიანს (სააკოვას) ვაჩიკ აბრამის ასულს — ახალქალაქის პედასწავლებლის მასწავლებელს
16. ერქომაიშვილს ანა გრიგოლის ასულს — ქ. მახარაძის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს
17. ზაალიშვილს ქეთევან ნიკოლოზის ასულს — ქ. თბილისის № 54 საშუალო სკოლის მასწავლებელს
18. თვალთვაძეს ფეოდოსია აქვსენტის ასულს — წალენჯიხის საშუალო სკოლის მასწავლებელს
19. თევდორაძეს მიტროდორა ვასილის ასულს — თერჯოლის საშუალო სკოლის მასწავლებელს
20. თუშაბრამიშვილს მიხეილ მათეს-ძეს — თელავის რაიონის კურდღელაურის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელს
21. იოსელიანს აგრიპინა გრიგოლის ასულს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის მეთოდისტს
22. კარიჭაშვილს მარიამ გაბრიელის ასულს — გორის რაიონის ხიდისთავის საშუალო სკოლის მასწავლებელს
23. კაიშაურს ანასტასია ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყრუმუნჯთა სკოლის მასწავლებელს
24. კვარაცხელიას ეფროსინე პავლეს ასულს — წალენჯიხის რაიონის ულურიის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს
25. კერესელიძეს მათე დავითის-ძეს — ონის რაიონის კვამხიეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს
26. კვიმსაძეს ვიქტორ გაბრიელის-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილების უფროსის მოადგილეს
27. კვეფინაძეს გრიგოლ პლატონის-ძეს — ჭიათურის რაიონის ბერეთის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელს
28. კიკაჩეიშვილს ერმილე პეტრეს-ძეს — ქ. რუსთავის განათლების განყოფილების ინსპექტორს
29. კიკნაძეს თამარ ივანეს ასულს — ქ. თბილისის № 35 საშუალო სკოლის მასწავლებელს
30. კინწურაშვილს პოლიკარპე ილარიონის-ძეს — წულუკიძის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს
31. კობახიძეს ალექსანდრა ივანეს ასულს — ხობის რაიონის პირველი მაისის საშუალო სკოლის მასწავლებელს
32. კოპალიანს გერონტი არსენის-ძეს — ცაგერის რაიონის დეხვირის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელს
33. ლაბაძეს ვასილ შიოს-ძეს — ჭიათურის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. ლანგეს ანტონინა დიმიტრის ასულს — მარნეულის საშუალო სკოლის მასწავლებელს
35. ლეშჩინსკაიას ელისაბედ ტარიელის ასულს — ქ. თბილისის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს
36. ლოლაძეს მარიამ გიორგის ასულს — ქ. გორის № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელს
37. მაკარევსკის ალექსანდრე დემიანის-ძეს — ქ. თბილისის № 52 საშუალო სკოლის მასწავლებელს
38. მამფლაშვილს ნიკოლოზ კირილეს-ძეს — ყვარლის რაიონის ოქტომბრის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელს
39. მარგველაშვილს ქეთევან ბაგრატის ასულს — ქ. თბილისის № 42 საშუალო სკოლის მასწავლებელს
40. მელაძეს ელენე მიხეილის ასულს — აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის კალდახვარის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელს
41. მერკვილაძეს გიორგი ნოშრევანის-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური მომზადების მეთოდური კაბინეტის გამგეს
42. მიროტაძეს პარმენ იოსების-ძეს — ჭიათურის რაიონის ხალიფაურის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელს
43. ნადირანიანს ვაგინაკ მიხეილის-ძეს — მარნეულის რაიონის შაუმიანის საშუალო სკოლის მასწავლებელს
44. პატარიძე-გრიგოლიას ეკატერინე დავითის ასულს — ცხაკაიას № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს
45. სულუბიას სოფიო (სარა) ივლიანეს ასულს — მახარაძის № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს
46. ტაბატაძეს ისაკ ოქროპირის-ძეს — ჭიათურის რაიონის ბერეთის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელს
47. ტუღუშს ვლადიმერ ყაისარის-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორს
48. ფიფიას ფენია ყარამანის ასულს — ზუგდიდის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს
49. ფაქსაშვილს მარიამ მინას ასულს — აჭარის ასსრ ქ. ბათუმის № 14 საშუალო სკოლის მასწავლებელს
50. ქარსელაძეს სამსონ ვასილის-ძეს — ცაგერის რაიონის თამბორის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელს
51. ქვარაიას აკაკი მიხეილის-ძეს — ხობის რაიონის ძველი ხიბულის საშუალო სკოლის მასწავლებელს
52. ქუთათელაძეს ვლადიმერ ექვთიმეს-ძეს — წყალტუბოს დაწყებითი სკოლის მასწავლებელს
53. შავერდოვას ელისაბედ ამირანის ასულს — სიღნაღის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს
54. შარიფოვს ზიად აგაბეკის-ძეს — მარნეულის რაიონის დაშთაფის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელს
55. ჩიქოვანს მართა იასონის ასულს — გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილების პედკაბინეტის გამგეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

56. ჩირგაძეს პოლიკარპე დავითის ძეს — ქ. თბილისის № 4 საშუალო სკოლის მასწავლებელს
57. ჩერნოვას ნადეჟდა გრიგოლის ასულს — აჭარის ასსრ ქ. ბათუმის № 10 საშუალო სკოლის მასწავლებელს
58. ჩერქეზიშვილს თამარ ანტონის ასულს — ქ. თბილისის № 24 საშუალო სკოლის მასწავლებელს
59. ჩუკბარ ოლღა მიხეილის ასულს — აფხაზეთის ასსრ ქ. სოხუმის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს
60. ჩხეიძეს დავით ალექსანდრეს-ძეს — სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორს
61. ჩხენკელს ვალენტინა სისოს ასულს — ქ. თბილისის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს
62. ცაგარეიშვილს გრიგოლ საბას-ძეს — ქ. თბილისის განათლების განყოფილების პედკაბინეტის მეთოდისტს
63. ცხადაიას ამბროსი გუსარის-ძეს — წალენჯიხის რაიონის ჯვარის საშუალო სკოლის მასწავლებელს
64. ცხოვრებოვას დარია ალექსის ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქ. სტალინირის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს
65. წულეისკირს ივანე პეტრეს-ძეს — ქ. ქუთაისის № 9 საშუალო სკოლის დირექტორს
66. ჭანტურიას გიორგი პავლეს-ძეს — წულუკიძის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს
67. ჭყონიას იონა ალექსის-ძეს — წყალტუბოს რაიონის მაღლაკის № 1 შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელს
68. ხარებოვს დიმიტრი ვლადიმერის-ძეს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს
69. ხარშილაძეს ალექსი ამირანის-ძეს — ადიგენის რაიონის სმადის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელს
70. ხინთიბიძეს ქეთევან მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორს
71. ხუროიძეს მელიტონ გრიგოლის-ძეს — ვანის რაიონის ქვედა გორის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელს
72. ხუნდაძეს არკადი ესეს-ძეს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკს
73. ჯაჯიეს იასონ გრიგოლის-ძეს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონის კვაისის საშუალო სკოლის მასწავლებელს
74. ჯაფარიძეს თამარ ბესარიონის ასულს — ქ. თბილისის № 8 საშუალო სკოლის მასწავლებელს
75. ჯეჯეიას პავლე პეტრეს-ძეს — აფხაზეთის ასსრ გალის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

76. ჯულაბაშვილს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს — ქ. გორის № 6 საშუალო სკოლის ნაწ. წავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1957 წ. 6 ივნისი.

8. გარდაბნის, გორის და სიღნაღის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობის შესახებ მოსავლის აღების საქმეში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ გარდაბნის, გორის და სიღნაღის რაიონების მტს-ები და კოლმეურნეობები მომზადებულნი შეხვდნენ და ორგანიზებულად დაიწყეს თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. ა/წ. 5 ივლისისათვის მოსავალი აღებული იყო გარდაბნის რაიონში გეგმის 80 პროცენტი, ხოლო სიღნაღის რაიონში 70 პროცენტი.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ გარდაბნის, გორის და სიღნაღის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს.

შემოწმებით გამოირკვა, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოები, მათი აღმასკომები აქტიურად არ ხელმძღვანელობენ მოსავლის შემეცდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღების საქმეს და მშრომელთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლას. მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხი გარდაბნის, გორის და სიღნაღის რაისაბჭოების სესიებზე შემოწმების დროისათვის განხილული არ ჰქონდათ, დეპუტატების უმრავლესობა არ არის ჩაბმული საბჭოს წინაშე მდგარი პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში, ზოგიერთმა არც კი იცის რა მუშაობა უნდა ჩაატაროს მოსავლის აღების დროს. სუსტად მუშაობენ ამ საბჭოების სოფლის მეურნეობის, კულტურულ-საგანმანათლებლო, საგზაო მშენებლობის და ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიები. მათ არ შეუმოწმებიათ კოლმეურნეობებში მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხი და არ შეუტანიათ პრაქტიკული წინადადებები საბჭოზე ან აღმასკომზე განსახილველად და საჭირო ღონისძიებათა გასატარებლად. გორის რაიონის ტირძნისის სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ამხ. ხმიადაშვილი) იმდენად უმოქმედობს, რომ არჩევნების შემდეგ ჩატარებული აქვს ერთი სესია და აღმასკომის მხოლოდ ერთი სხდომა. საბჭოები სათანადოდ არ ზრუნავენ მოწინავეთა გამოვლინებისათვის, მათი გამოცდილების გაზიარება-დანერგვისათვის და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისათვის. ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი არ იცნობს კოლმეურნეობებში მოსავლის აღების გეგმებს და არ ატარებს საჭირო ღონისძიებებს მოსავლის აღების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

გარდაბნის რაიონში დროზე არ შეაკეთეს რა მინდვრის გზები და ბოგირები, ადგილი ქონდა კომბაინების მოცდენას და დახიანებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღნაღის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში არ იყო რა სწორად მოწყობილი შრომის ორგანიზაცია, კომბაინები ტრანსპორტის უქონლობის გამო სცდებოდა. მაგალითად: სოფ. საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში ორ კომბაინს ემსახურებოდა ერთი ავტომანქანა და ორი ურემი, რომლებიც ვერ ასწრებდნენ ხორბლის კალოზე გადაზიდვას. ამავე კოლმეურნეობაში არ სწარმოებდა თავთავის აკრეფა და ამ საქმისათვის არ იყო გამოყენებული მოსწავლე ახალგაზრდობა. მინდვრად და კალოებზე ნაკლებად ტარდებოდა აგიტსაუბრები, მინდვრად მოიუშავეებს არ ეგზავნებოდათ ახალი ჟურნალ-გაზეთები.

ადგილობრივი საბჭოები არ აქცევენ საკმაო ყურადღებას ბავშვიანი ქალების საკოლმეურნეო შრომაში მაქსიმალურად ჩაბმის საქმეს, შემოწმებული რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ იყო მოწყობილი საბავშვო ბაღები და მოედნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მთელი რიგი რაიონული და სასოფლო საბჭოები არ ატარებენ საკმაო ღონისძიებებს საგაზაფხულო ნათესების დროულად დამუშავების, თივის აღების, უხეში საკვების დაგროვების, დასილოსების და სხვა კულტურების მოსავლის აღების ორგანიზებულად, შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაეალოს მშრომელთა დეპუტატების გარდაბნის, გორის, სიღნაღის და საოლქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) ორგანიზებულად წარმართონ საბჭოების მუშაობა მოსავლის აღებისათვის და ფართოდ ჩაბაბან ამ საქმეში საბჭოების ყველა დეპუტატი, მუდმივი კომისიები და მოსახლეობის ფართო აქტივი; მიამაგრონ საბჭოების დეპუტატები ცალკეულ კოლმეურნეობებზე, ბრიგადებზე, რგოლებზე, კალოებზე და კომბაინებზე და ამამღლონ მათი პირადი პასუხისმგებლობა მოსავლის აღების საქმეში პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესასრულებლად;

ბ) მიიღონ გადამწყვეტი ზომები, რომ მოსავლის აღებისათვის ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, მტს-ი უზრუნველყოფილი იყოს საჭირო მანქანა-იარაღებით, აუცილებელი სათადარიგო ნაწილებით, ტარით, სატრანსპორტო საშუალებებით და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობით;

გ) უზრუნველყონ თვითეულ კოლმეურნეობაში, მტს-ში და საბჭოთა მეურნეობაში მოსავლის აღების ყველა სამუშაოს და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების თავის დროზე შესრულება. მოაწყონ მოსავლის აღების კომპლექსური მექანიზაცია, რომ კომბაინით მოსავლის აღებასთან ერთად ხდებოდეს მარცვლის დროული ტრანსპორტირება კომბაინიდან კალომდე, მარცვლის აწონვა, მექანიზირებული გაწმენდა და მექანიზირებული ტრანსპორტირება დამამზადებელ და სასაწყობო პუნქტებში, ჩალისა და ნახორის მექანიზირებული აღება, დაზვინვა და სხვ.;

დ) გაატარონ საპირო ღონისძიებანი, რომ მოსავლის აღებისას ყველა კოლმეურნეობაში გაძლიერდეს ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ, რისთვისაც მაქსიმალურად გამოიყენონ მოსწავლე ახალგაზრდობის შრომა;

ე) კიდევ უფრო განამტკიცონ კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინა და მოაწესრიგონ შრომის ორგანიზაცია, უზრუნველყონ შრომისუნარიან კოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეთა მაქსიმალური ჩაბმა საკოლმეურნეო შრომაში; ბავშვიანი ქალების მოსავლის აღების საქმეში ფართოდ ჩაბმის მიზნით, კოლმეურნეობებში აუცილებლივ მოაწყონ საბავშვო ბაგები, ბაღები და მოეფინენ და უზრუნველყონ მათი ნორმალური მუშაობა;

ვ) მკვეთრად გააუმჯობესონ კულტ-მასობრივი მუშაობა მინდვრად, სისტემატურად ჩაატარონ აგიტსაუბრები და მოაწყონ კინოსურათების და კონცერტების ჩვენება, უზრუნველყონ საველე ფურცლების გამოშვება და კრიტიკულად გააშუქონ მოსავლის აღების მიმდინარეობაში არსებული ნაკლოვანებანი;

ზ) მიიღონ საჭირო ზომები მოსავლის აღების პერიოდში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გასაშლელად სასოფლო საბჭოებსა, კოლმეურნეობებსა ბრიგადებსა და კომბაინერებს შორის და სისტემატურად აწარმოონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს ქმედითი ღონისძიებები გაატარონ საგაზაფხულო ნათესების დროული დამუშავებისათვის, თივის აღებისა და დასილოსების, ჩაის ფოთლის კრეფის, თამბაქოს შეტეხვის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დროულად აღებისათვის და დამზადებათა გეგმების პირველ რიგში შესრულებისათვის.

აქედანვე მიიღონ ზომები, რომ დროულად მოემზადონ კოლმეურნეობები ყურძნის, ხილის, სიმინდის და სხვა კულტურების მოსავლის აღებისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეადგენოს მტს-ების მოსავლის აღებისათვის საჭირო მანქანა-იარაღებთან უზრუნველყოფის საკითხი და დროულად გამოსწოროს ცალკეული მტს-ში არსებული ნაკლოვანებანი.

4. დაევალოს „ცეკავშირის“ გამგეობას მიიღოს გადამჭრელი ზომები, რომ შეზიდოს და კოლმეურნეობებს დროულად მიჰყიდოს სასოფლო-სამეურნეო წვრილი ინვენტარი, ტომრები და მოსავლის აღებისათვის საჭირო სხვა მასალები.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს პრაქტიკული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს სეზონური სამბავშვო დაწესებულებების მოწყობისა და საჭირო ღონისძიებათა გატარების საქმეში; ამასთან ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ სათანადო ყურადღება მიაქციოს მინდვრად მომუშავეთა სამკურნალო მომსახურების საქმეს.

6. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გაამლიერონ მოსავლის აღების პერიოდში ადგილებზე მოსახლეობის კულტურული მომსახურება კინოსურათების ჩვენებით, თეატრალური კოლექტივებისა და მხატვრული თვითმოქმედი წრეების აქტიური მონაწილეობით. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შორეულ მთაგორიან რაიონების კოლმეურნეობების კულტურულ მომსახურებას.

7. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს სისტემატურად შეამოწმონ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და მტს-ებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღებისა და დამზადების მიმდინარეობა და განიხილონ საბჭოს სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე, ქმედით ღონისძიებების გატარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასთან ერთად ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა, რომ არსებული ყველა ნაკლოვანება დროზე იქნეს აღმოფხვრილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 10 ივლისი.

9. ბრძანებულება სახალხო მოსამართლის თანამდებობისაგან ამხ. ვ. მ. ჭიაურელის გამოწვევის შესახებ

მიიღო რა მხედველობაში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წინადადება ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის სახალხო მოსამართლის ამხ. ვ. მ. ჭიაურელის გამოწვევის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გამოწვეულ იქნას ამხ. ვერა მიხეილის ასული ჭიაურელი ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 10 ივლისი.

10. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ რედაქტორის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. განთავისუფდეს ამხ. სერგი სამას-ძე როსტაშვილი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ რედაქტორის მოვალეობისაგან.

2. დამტკიცდეს ამხ. ზაალ ბესარიონის-ძე გელდიაშვილი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ რედაქტორად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მაგიერ—**ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 10 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. განთავისუფლდეს ამხ. ისიდორე სამსონის-ძე დოლიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

2. დამტკიცდეს ამხ. მიხეილ ყარამანის-ძე ლომიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 10 ივლისი.

12. ბრძანებულება ბორჯომის რაიონის ყვიბისის სასოფლო საბჭოდან სოფელ კორტანეთის გამოყოფისა და მისი ახალდაბის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს ბორჯომის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება ყვიბისის სასოფლო საბჭოდან სოფელ კორტანეთის გამოყოფისა და ამავე რაიონის ახალდაბის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 2 აგვისტო.

13. ბრძანებულება მარნეულის რაიონის ცენტრის სოფელ მარნეულის ქალაქის ტიპის დასახლებად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გარდაიქმნას მარნეულის რაიონის ცენტრი სოფელი მარნეული ქალაქის ტიპის დასახლებად.

2. შემდგომში. მშრომელთა დეპუტატების მარნეულის სადაბო საბჭოს არჩევნებამდე, სადაბო საბჭოს მოვალეობა დაეკისროს მარნეულის სასოფლო საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მიეკუთვნოს მარნეულის სადაბო საბჭოს დაბა მარნეული და სოფლები: წერეთელი, ნორგიული (მირზოევკა), ორჯონიკიძე, დიდი ბეგლარი და პატარა ბეგლარი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 2 აგვისტო.

14. ბრძანებულება ხაშურის რაიონში წრომის სასოფლო საბჭოს აღდგენის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გამოეყოს ხაშურის რაიონის ხცისის სასოფლო საბჭოს სოფლები: წრომი, ახალშენი, ნადარბაზევი, იმერლანთკარი, დიდი ხავლეთი, ვაკე-პანტები, პატარა ხავლეთი, დიდი ყელეთი, პატარა ყელეთი და შეიქმნას მათგან წრომის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ წრომში.

2. დაევალოს ხაშურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს შექმნას წრომის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომი—თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის და 2 წევრის შემადგენლობით, რომელსაც დაევალება მუშაობა სასოფლო საბჭოს არჩევნებამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 2 აგვისტო.

15. ბრძანებულება ამხ. გ. შ. მიქელაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარედ

დანიშნოს ამხ. გივი შალვას-ძე მიქელაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 6 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულების მდგომარეობის შესახებ

შემოწმებით გამოირკვა, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დეპუტატების საანგარიშო კრებებზე ამომრჩეველთა მიერ შეტანილი განაწესებისა და წინადადებების შესრულების საქმეს გარკვეული ყურადღება მიაქციეს და პრაქტიკულად შეუდგნენ მათ შესრულებას.

ამომრჩეველთა წინადადებების საფუძველზე ელექტროფიცირებულია მთელი რიგი სოფლებისა, დუშეთში გახსნილია ზოოვეტერინარული ტექნიკუმი, თიანეთში დადგმულია ვაჟა-ფშაველას ძეგლი და არსენა ოძელაშვილისა—თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მარაბდაში, მთავრდება კულტურის სახლის შენებლობა ს. ჯავაში, სამუშაოდ გაიგზავნა მესტიის რაიონში 8 და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 4 ექიმი, მთავრდება მარნეულის რაიონული საავადმყოფოს შენებლობა, ყვარლის რაიონის სოფ. ენისელში გაიხსნა საშუალო სკოლა, ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირში მთავრდება საშუალო სკოლის შენებლობა;

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საეკსპლოატაციოდ გადასცა წყალსადენის ქსელი ლენინის სახელობის რაიონის განაპირა უბნებში, გადატანილია ნავთლუღის ასფალტ-ბეტონის ქარხანა სოღანლუღში და სხვა.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული სამინისტროები და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი ჯერ კიდევ არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას და უშვებენ ფორმალური მიდგომას ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულებისადმი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს არ განუხილავთ კოლეგიების სხდომებზე ამომრჩეველთა მიერ შემოტანილი განაწესებისა და წინადადებათა განხორციელების საკითხი. შემოწმებული სამინისტროები და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი სათანადოთ არ ზრუნავენ დამატებითი რეზერვებისა და შესაძლებლობათა გამონახვისათვის, რათა უფრო მეტად იქნას დაკმაყოფილებული საბჭოების დეპუტატების შუამდგომლობანი ამომრჩეველთა წინადადებების განხორციელების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩეველთა მთელი რიგი წინადადებების განხორციელება შესაძლებელი იყო, არ მიექცა რა საკმარო ყურადღება, ისინი დღემდე შეუსრულებელია, მაგალითად: გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევისა და გულრიფშის რაიონის საავადმყოფოების და აფთიაქების მიმდინარე რემონტი, ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონში (საბურთალო) აფთიაქის გახსნა და სხვა.

მოუგვარებელია წულუკიძის რაიონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სასწავლო კორპუსის, სოფელ სართიჭალის, ყაზბეგისა და ასურეთის ვეტერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარული ჰუნქტების მშენებლობა, გადაუჭერელია ახალქალაქის რაიონის სოფელ დილისკის და აბულის კოლმეურნეობების მოთხოვნა დამატებითი საზაფხულო სამოვრების გამოყოფის შესახებ და სხვა.

ზოგიერთ სამინისტროს არ შეუმოწმებია, თუ როგორ სრულდება მათ მიერ დასახული ღონისძიებები ამორჩეველთა წინადადებების განხორციელებისათვის, ხოლო თბილისის საქალაქო საბჭოს აღასკომი საკმაოდ ვერ იყენებს დეპუტატთა შემოქმედებით ინიციატივას ამორჩეველთა წინადადებების შესრულებისათვის.

ანჩეკს რა დიდ პოლიტიკურ და სამეურნეო მნიშვნელობას ამორჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულებას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და კულტურის სამინისტროებს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

1. პერიოდულად განიხილონ კოლეგიებისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომებზე ამორჩეველთა განაწესებისა და წინადადებათა შესრულების მსვლელობა, დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მათი განხორციელებისათვის;

2. აწარმოონ ზუსტი აღრიცხვა და გაუწიონ კონტროლი ამორჩეველთა წინადადებებისა და დეპუტატთა შუამდგომლობათა შესრულებას, არ დაუშვან საკითხების შესწავლისა და პასუხების გაცემისადმი ფორმალური მიდგომა;

3. გამონახონ დამატებითი საშუალებანი და შესაძლებლობანი ამორჩეველთა წინადადებების განსახორციელებლად და უზრუნველყოს მათი შესრულებისათვის მოსახლეობის ფართო მონაწილეობა;

4. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს უფრო მეტად განავითაროს დეპუტატთა შემოქმედებითი ინიციატივა ამორჩეველების წინადადებების შესრულებისათვის;

5. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა სამინისტროს, უწყებას, მწარმელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს აღრიცხონ, შეისწავლონ და განიხილონ ამორჩეველთა განაწესები და წინადადებები, მარი დაუჭირონ დეპუტატების ინიციატივას და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ამათ შესასრულებლად;

6. დაევალოს სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის სამინისტროებს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოახსენება ამ დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ ა/წლის 1 დეკემბრისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე—ლ. დავითაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი— ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1957 წ. 8 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. ბრძანებულება საქართველოს სსრ მოწინავე მშენებელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

„მშენებლის დღესთან“ დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ მოწინავე მშენებლები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ასანიძე გიორგი სპირიდონის-ძე — ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ მებეტონე
2. ბადრიშვილი ბიძინა ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის მეარმატურეთა ბრიგადირი
3. ბაქრაძე ნიკოლოზ ივანეს-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგოშენის“ მესკარეპარე
4. ბალანჩივაძე ნინო ვარლამის ასული — ტრესტ „საქჰიდროენერგოშენის“ უფროსი ოსტატი
5. ბურციკაძე გიორგი იოსების ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის დურგალი
6. გაგუა პეტრე სოფრომის ძე — ტრესტ „საქმრეწვმშენმონტაჟის“ ავტომანქანის მძღოლი
7. გიორგაძე რაჟდენ კალისტრატეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის შემდუღებელი
8. გოგაური ვასილ კონსტანტინეს ძე — ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ ელექტრომონტიორი
9. გორელოვი ვასილ ნიკოლოზის-ძე — ტრესტ „ამიერკავკასიის ტრანსმშენის“ გზის ინჟინერი
10. გრიგოლაშვილი ოთარ გრიგოლის-ძე — ტრესტ „ამიერკავკასიის ტრანსმშენის“ გზის გამყვანი
11. ეფუნდარი ნოდარ დამიტრის ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგოშენის“ უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი
12. ეფუნოშვილი სტეფანე ალექსის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 27 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ქვისმთლელი
13. ესიპენკო როდიონ გრიგოლის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის დურგალი
14. ვასინი ივანე არქიპოს ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის მებეტონე
15. ვაჩიბერიძე გივი კაპიტონის ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ ელექტროგაზის გამყვანთა ბრიგადირი
16. ზარიძე ეთერ ივანეს ასული — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ ბეტონის ქარხნის მოტორისტი
17. თათვიძე კონსტანტინე აორფილეს ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის ხუროო
18. კარიბოვი ივანე ლაზარეს ძე — ტრესტ „საქმრეწვმონტაჟის“ მებეტონეთა ბრიგადირი

X 35

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. კბილაშვილი გიორგი მირონის-ძე — ტრესტ „საქენერგომშენის“ ავტომანქანის მძღოლი
20. კეცბა ჯორბუ რაშიდის-ძე — ტრესტ „საქსახმშენის“ ელექტრომონტიორი
21. კილაძე მიხეილ ალექსის-ძე — ტრესტ „საქშახტმშენის“ მებათქაშეთა ბრიგადირი
22. კისიშვილი ვიქტორ ვასილის-ძე — „თბილმშენის“ მთავარი სამმართველოს მებეტონე
23. კვიჩიძე გივი ვლადიმერის-ძე — „თბილმშენის“ მთავარი სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი
24. კრასნორუქევი ნიკოლოზ ნიკანორის-ძე — ტრესტ „საქჰიდროელექტრომშენის“ მებათქაშე
25. კურორჩინი ვიქტორ მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის ქვისმთლელი
26. კუპრეიშვილი გივი ირაკლის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის № 4 სამშენებლო სამმართველოს უფროსი
27. კოვალიოვი გიორგი კირილეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის ზეინკალი
28. კუმუხიძე გივი ვლადიმერის-ძე — ტრესტ „საქენერგომშენის“ ლაჯანურის ჰესის მშენებლობის გვირაბის უბნის უფროსი
29. კუცია ალექსანდრე გიორგის-ძე — ტრესტ „საქშახტმშენის“ ხუროო
30. მამედოვი მამედ ალეკპერის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის ზეინკალთა ბრიგადირი
31. მარჩენკო გრიგოლ ილიას-ძე — „თბილმშენის“ მთავარი სამმართველოს ხუროთა ბრიგადირი
32. მელაძე ვახტანგ ისაკის-ძე — ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ მემოზაიკე
33. მელია მიხეილ სიმონის-ძე — „თბილქალაქპროექტის“ მთავარი არქიტექტორი
34. ნასარიძე ვლადიმერ დავითის-ძე — „საქსახპროექტის“ დამპროექტებელი ინსტიტუტის არქიტექტორი
35. ომიაძე აკაკი გაბრიელის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 1 საგზაო მანქანების სადგურის დირექტორი
36. რევიშვილი სოლომონ იოსების-ძე — საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო დამპროექტებელი ინსტიტუტის ტიპობრივი დაპროექტების განყოფილების უფროსი
37. რუსიშვილი ზაქარია ზაქარიას-ძე — ტრესტ „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ ექსკავატორის მემანქანე

ეროვნული ბიბლიოთეკა

38. სელეზნიოვი ალექსანდრე ივანეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის მებათქაშე

